# ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე გია ბერაია დავიბადე 970 წლის 3 ივლისს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში.

მამა -ბერაია ილია, დაბადებული 1932 წლის 15 იანვარს, პენსიონერი.

დედა -ბერაია თალიკო, დაბადებული 1947 წლის- 26 ნოემბერს, პენსიონერი.

1987 წელს დავამთავრა ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერის საშუალო სკოლა.

1988-1990 წლებში ვმსახურობდი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში.

1992 წელს ჩავირიცხე ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტში სამართალმცოდეობის ფაკულტეტზე და დავამთავრე 1997 წელს. მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2000-2004 წლებში ვმუშაობდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვანის შს რაიგანყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობებზე: სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად, ოპერატიულ მორიგედ, უბნის ისპექტორად. მინიჭებული აქვს პოლიციის ლეიტენანტის წოდება. გავთავისუფლდი პირადი განცხადების საფუძველზე.

ჩავაბარებული მაქვს ადვოკატთა გამოცდა საერთო სპეციალობით და 2004 წლის დეკემბრიდან ვმუშაობდი ადვოკატად.

2005 წლის 28 ნოემბრიდან 2006 წლის 20 თებერვლამდე ვმუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №8-ე დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის უფროს ინსპექტორად, საიდანაც გავთავისუფლდი პირადი განცხადების საფუძველზე სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით.

2006 წლის 20 თებერვალს დავინიშნე ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.

2007 წლის ივნისიდან სამოსამართლეო უფლებამოსილებას ვახორციელებდი ბორჯომის რაიონულ სასამართლოში. 2008 წლის აგვისტოდან ვასრულებდი ბორჯომის რაიონული სასამართლოს თავჯდომარის მოვალეობას.

2009 წლის 21 აპრილიდან გავთავისუფლდი ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და  დავინიშნე  ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

2016 წლის 15 თებერვლიდან დავინიშნე ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე სამი წლის ვადით და გავთავისუფლდი ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

2018 წლის 03 ივლისიდან დამეკისრა  ახალციხის რაიონული სასამართლოს თავჯდომარის უფლებამოსილება.

2019 წლის 14 თებერვლიდან დავინიშნე ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ უვადოთ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

2019 წლის 02 დეკემბრიდან   გავთავისუფლდი ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და დავინიშნე  თბილისიის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ სამოსამართლეო უფლებამოსილების ფარგლებში.

2010-2011 წლეებში ვკითხულობდი ლექციების კურსს ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

მყავს  მეუღლე  და სამი შვილი.

გია   ბერაია

26.10.2020w.